საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ივერია

ივერია, ვაშლის ქართული ჯიში, გავრცელებულია ქართლში. გამოყვანილია სოფ. სკრის მეხილეობის საცდელ სადგურში სელექციონერ თ. ცერცვაძის მიერ ზამთრის ბანანისა და კეხურას შეჯვარებით.

ხე ინტენსიურად იზრდება, აქვს მომრგვალო-პირამიდული ფორმის ვარჯი. მოსავალს მე-6–7 წელს იძლევა, უხვმოსავლიანია, ერთი ხიდან საშ. მოსავალია 300–350 კგ. ნაყოფი - მსხვილია (200–220 გ-მდე), მომრგვალო, მოყვითალო-წითელი, რბილობი – მოთეთრო, საკმაოდ მკვრივი, წვნიანი, მოტკბო-მომჟავო. იკრიფება ოქტომბერში, კარგად ინახება მაისამდე. სასუფრე ჯიშია, ტრანსპორტაბელური.

შ. ახვლედიანი